



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №4
იანვარი 1 - თებერვალი 1, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

რატი თინიკაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2019 წლის აგვისტოდან ახორციელებს პროექტს - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, საია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესი

2019 წლის 14 ნოემბერს, უმრავლესობამ ჩააგდო კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით, ბარიერის გარეშე ჩატარებას ითვალისწინებდა,¹ ამ ფაქტს საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევის მიზნით, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა ინიციატივითა და მონაწილეობით, მოლაპარაკებები დაიწყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.² ჩატარდა 4 შეხვედრა, თუმცა, მხარეებმა საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით შეთანხმება ვერ მოახერხეს.³

მოლაპარაკების მეხუთე რაუნდის ჩატარება იანვარში დაიგეგმა, მაგრამ, ამ დრომდე არ გამართულა.⁴ ოპოზიცია ხელისუფლებას სთავაზობს ე. წ. „გერმანული საარჩევნო სისტემით“ ან მრავალმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების პირობებში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.⁵ ხელისუფლებამ კი ოპოზიციას წარუდგინა წინადადება არჩევნების ისევ შერეული სისტემით ჩატარების შესახებ, რომელიც მაჟორიტარი დეპუტატების 50-მდე შემცირებასა და პროპორციული წესით ასარჩევი დეპუტატების 100-მდე გაზრდას ითვალისწინებს.⁶ მხარეები კონსენსუსამდე მისვლას კვლავ ვერ ახერხებენ.

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ შეუსრულებელი დაპირების გამო, საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ გააკრიტიკეს ევროპარლამენტის დეპუტატებმა.⁷ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შემოთავაზა გამოთქვა „ქართული ოცნების“ მიერ სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის რეფორმის ჩაგდების გამო და

¹ პლენარული სხდომის კენჭისყრის ანგარიში, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 14.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cnRCEw>, განახლებულია: 11.02.2020.

² მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის დიალოგი უშედეგოდ დასრულდა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ვებგვერდი, 30.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bn8Wrl>, განახლებულია: 11.02.2020.

³ შერეული საარჩევნო სისტემის შენარჩუნების შესახებ მმართველი გუნდის ინიციატივას პოლიტიკოსები აფასებენ, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 20.12.2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bfjRUF>, განახლებულია: 11.02.2020.

⁴ ოპოზიცია და ხელისუფლება მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდისთვის ემზადებიან, ტელეკომპანია „იმედი“, 15.12.2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YNBqIL>, განახლებულია: 11.02.2020.

⁵ რას გულისხმობს ოპოზიციის ადაპტირებული „გერმანული მოდელი“ საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 29.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/410330/>, განახლებულია: 11.02.2020.

⁶ 100/50-ზე – მმართველი გუნდი ოპოზიციას კვლავ შერეული საარჩევნო სისტემის შენარჩუნებას სთავაზობს, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 20.12.2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YPoAd8>, განახლებულია: 11.02.2020.

⁷ ევროპარლამენტარები „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებენ, 21.01.2020, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 14.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/421269/>, განახლებულია: 11.02.2020.

საქართველოს ხელისუფლებას 2020 წლის არჩევნებამდე სამართლიანი საარჩევნო სისტემის უზრუნველყოფისაკენ მოუწოდა, რომელსაც ყველა დაინტერესებული მხარე ენდობა.⁸ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წარმომადგენელმა კონგრესმენებმა წერილობით მიმართეს პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას და მოუწოდეს 2020 წლის არჩევნების ლეგიტიმურობისა და ჩარევებისაგან დაცვის უზრუნველყოფისკენ.⁹ სამოქალაქო ორგანიზაციებმა კვლავ მიმართეს ხელისუფლებას, დაუბრუნდეს საარჩევნო სისტემის ცვლილებების განხილვას.¹⁰

საპარლამენტო არჩევნების მოახლოვებასთან ერთად, უფრო მეტად მცირდება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების პერსპექტივა. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დანყებული დიალოგი ჩიხში შედის. საია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ უნდა განიოს მეტი ძალისხმევა საარჩევნო სისტემაზე კონსენსუსის მისაღწევად.

აქციები და ფიზიკური დაპირისპირებები

პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების უარყოფის შემდგომ, საზოგადოების პროტესტი და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება, ფაქტობრივად, არ შეწყვეტილა.¹¹

მოდრაობა „შეცვალე“ აქციები გამართა სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში (მერაბ ქარაიას ბიუროსთან),¹² ჩხორონწყუში (გოგა გულორდავას ბიუროსთან),¹³ ხობში (დაჩი ბერაიას ბიუროსთან).¹⁴ აქციებს დაპირისპირების გარეშე არცა მჯერად ჩაუვლია. სიტყვიერ დაპირისპირებებს ჰქონდა ადგილი ზუგდიდსა და ხობში, ხოლო ჩხორონწყუში აქციის შემდგომ, მოძრაობა „შეცვალეს“ აქტივისტებს ფიზიკურად გაუსწორდნენ.¹⁵ ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ორი ან მეტი პირის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.¹⁶

საია კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ძალადობრივი აქტები არსებითად მნიშვნელოვნად აზიანებს პოლიტიკურ/საარჩევნო გარემოს, საფრთხეს უქმნის სტაბილურობას და კიდევ უფრო აღრმავებს არსებულ პოლარიზაციას პოლიტიკურ ძალებს შორის. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა, სწრაფად და ეფექტურად აწარმოონ გამოძიება და უზრუნველყონ მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა, განურჩევლად დამრღვევის პოლიტიკური კუთვნილებისა, რათა საფრთხის წინაშე არ დადგეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარების საკითხი.

⁸ PACE შემოთავაზებულია პროპორციული სისტემის ჩაგდებათ, 31.01.2020, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 14.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/423663/>, განახლებულია: 11.02.2020.

⁹ საქართველოს მთავრობამ კონგრესმენების წერილი გაასაჯაროვა, 22.01.2020, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 14.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/421641/>, განახლებულია: 11.02.2020.

¹⁰ NGO-ები ხელისუფლებას პროპორციული საარჩევნო სისტემის განხილვისკენ მოუწოდებენ, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 28.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/422766/>, განახლებულია: 11.02.2020.

¹¹ საიას საინფორმაციო ბიულეტენი №3, 2-5 გვერდები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37vCgdJ>, განახლებულია: 11.02.2020.

¹² „შეცვალეს“ აქციას ზუგდიდში დაპირისპირება მოჰყვა, რადიო „თავისუფლება“, 31.01.2020, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30409723.html>, განახლებულია: 11.02.2020.

¹³ ჩხორონწყუში მოძრაობა „შეცვალეს“ აქტივისტები ცემეს (ვიდეო), საინფორმაციო პორტალი „paqtobi.ge“, 30.01.2020, ხელმისაწვდომია: <https://paqtobi.ge/?p=39925>, განახლებულია: 11.02.2020.

¹⁴ ხობში, მაჟორიტარი დეპუტატის დაჩი ბერაიას ბიუროსთან, სადაც მოძრაობა „შეცვალეს“ წევრებმა აქცია გამართეს, ხმაური იყო, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 31.01.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yJQo7T>, განახლებულია: 11.02.2020.

¹⁵ ჩხორონწყუში მოძრაობა „შეცვალეს“ აქტივისტები ცემეს (ვიდეო), საინფორმაციო პორტალი „paqtobi.ge“, 30.01.2020, ხელმისაწვდომია: <https://paqtobi.ge/?p=39925>, განახლებულია: 11.02.2020.

¹⁶ მოძრაობა „შეცვალეს“ წევრები აცხადებენ, რომ ჩხორონწყუში სცემეს მათ სამ წევრს, რადიო „თავისუფლება“, 30.01.2020, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30408784.html>, განახლებულია: 11.02.2020.